ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური,განათლების,კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის

აქტი N4

დ.ჩოხატაური

28.10.2019წ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ,განათლების,კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიამ, სამუშაო გეგმის საფუძველზე შევისწავლეთ ა(ა)იპი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,ბახმარო"-ს საქმიანობა 2019 წლის მდგომარეობით.

შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

ა(ა)იპი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,ბახმარო" დაფუძვნდა 2016 წლის 14 იანვარს.

წესდების შესაბამისად მისი მიზანია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის განვითარება და პოპულარიზაცია .

კლუბის დირექტორი წესდების მე-4 მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს კლუბის სტრუქტურას,საშტატო განრიგს და სახელფასო ფონდს.

ა(ა)იპში შექმნილია სტრუქტურული ერთეულები: საფეხბურთო კლუბი ,,ბახმარო"; ,,სერგო კოტრიკაძის" სახელობის ბავშვთა საფეხბურთო აკადემია (2016 წლის 1 მარტს, კლუბის დირექტორის N42 ბრძანება) აღნიშნულზე ვერ იქნა კომისიისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც განსაზღვრული უნდა იყოს აკადემიის სტრუქტურა,მართვა ,მიზნები და ამოცანები, ბავშვთა მიღების წესი და ა.შ.

მოწოდებული სიის მიხედვით აკადემიაში დღეის მდგომარეობით მიღებულია 99 ბავშვი მ.შ. 18 გოგონა . შესაბამისად ფუნქციონირებს 4 ვაჟთა, მათ შორის ბახმარო 2, რომელიც მონაწილეობს რეგიონალურ ლიგაში და ერთი გოგონათა გუნდი. შედგენილია არსებულ გუნდთა ვარჯიშის გეგმა-გრაფიკი.

მ/წელს ბახმარო 2-ს მიღებული აქვს მონაწილეობა რეგიონული ლიგა ,,ქვედა ჯგუფი" დას. ტურში.ბახმაროს აკადემიას კი იმერეთის ღია ჩემპიონატში-გივი ნოდიას სახელობის თასზე, ,,ქვედა ჯგუფი"-ში და ,,ა" ჯგუფში ასევე იმერეთის ღია ჩემპიონატში,ჯუმბერ ხაჟალიას სახელობის თასზე და სხვა ღონისძიებებში.

ინფრასტრუქტურა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N 38 განკარგულების და მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 17 დეკემბრის N 1545 ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბუთო კლუბ ,,ბახმარო"-ს (ს/კ 441994843) გადაეცა სარგებლობის უფლებით,უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით დაბა ჩოხატაურში,დუმბაძის ქ N 24-ში მდებარე შენობა-ნაგებობები და მასზე დამაგრებული 48644,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სპორტული მოედანი) (მიწის უძრავი ქონების) ს/კ N 28.01.22.267; შენობა-ნაგებობის ღირებულება 37779,55 (ოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას სამოცდაცხრამეტი ლარი და ორმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარი; მიწის ღირებულება 350240 (სამასორმოცდა ათი ათას ორას ორმოცი)ლარი; იურიდული პირის პერიოდით.

ა(ა)იპის ბალანსზე არსებული მოედნები სრულყოფილად ვერ აკმაყოფილებს ფეხბურთის ფედერაციის შესაბამის მოთხოვნებს.

კერძოდ მოსაწყობია სადრენაჟე და სარწყავი სისტემები და სხვა.

სრულ რეაბილიტაციას საჭიროებს საკადასტრო გეგმის მიხედვით N 5 შენობა.(გასახდელი) პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა გუნდებისთვის გასახდელების არარსებობა. მოსაწესრიგებელია სველი წერტილები.

ა(ა)იპი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო " -ს გაფორმებული აქვს ქირავნობის ხელშეკრულება. ი/მ სულხან მინდაძესთან.

დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ.N 32 საოფისე ფართი (თვეში 100 ლარი) -ოდენობით,ამავე პირთან კლუბს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სასტუმროს მომსახურებაზე თვეში 300 ლარის ოდენობით, რომელსაც კლუბი იხდის ფეხბურთის განვითარების ფონდიდან სულ გადახდილია 9106 ლარი.

ა(ა)იპის ბალანსზე არსებული შენობა ნაგებობების კომუნალურ გადასახადებს (ელ.ენერგია,წყალი) იხდის ა(ა)იპი სპორტისა და სპორტული ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი" რაც მოსაგვარებელია და გასათვალიწინებელია მომავალი წლის ბიუჯეტში.

ბიუჯეტი-ფინანსები

2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით სულ გადასახდელები შეადგენს 150,0 ათას ლარს. მ.შ შრომის ანაზრაურების მუხლში 120,8 ათ.ლარს, რომელიც გათვალისწინებული იყო 18 საშტატო ერთეულზე. (შტატგარეშე მომუშავეები არ ირიცხება).თვეში შეადგენდა 10041,7 ლარს.

გარდა ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებისა, კლუბის დაფინანსების წყაროებია:

ა) ა(ა)იპ. ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან მიღებული შემოსავლები.

ბ) გრანტისა და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავლები.

შესაბამისად, მ/წ. 28 ოქტომბრის მდგომარეობით მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე სუფსიდიის სახით ბიუჯეტიდან მიღებული აქვს 179 504 ლარი. 29 504 ლარით მეტი წლის დამტკიცებულ პარამეტრებთან შედარებით. ფეხბურთის განვითარების ფონდიდან 22 4710ლარი ხოლო შემოწირულობების სახით 54 200ლარი.კლუბის მიერ წარმოდგენილი ფაქტიური ხარჯების მიხედვით 2019 წლის 25 ოქტომბერის მდგომარეობით,საბიუჯეტო სახსრები დახარჯულია ხელფასებზე 160640 ლარი. მათივე ინფორმაციით წლის დასაწყისში 18 საშტატო ერთეულით, (წარმოდგენილია) მერთან შეთანხმებული საშტატო განრიგი),ხოლო დღეის მდგომარეობით საშტატო განრიგი 24 ერთეულზეა,რაზედაც არაა წარმოდგენილი მერთან შეთანხმებული დოკუმენტი. ამ შეუთანხმებელი საშტატო განრიგის მიხედვითაც კი თვეში გასაცემი 13525 ათასი ლარის პირობებშიც, 9 თვეში საჭირო იყო 121725 ლარი,ფაქტიურად დახარჯულია 160640 ლარი, 38915 ლარით მეტი,რაც საჭირეობის განმარტებას.ამასთან ერთად აღსაღნიშნავია,რომ საკრებულოში განსახილველად შემოსულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N 36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე,სადაც ითხოვენ საფეხბურთოკლუბი ,,ბახმარო"-სთვის 59,0 ათასი ლარის მომატებას,ხოლო კლუბის 2019წლის 9 თვის გაწეული მუშაობის ანგარიშში წარმოდგენილია მოთხოვნა 72,0 ათასი ლარი.გამოდის, რომ მერიის მიერ მოთხოვმილი თანხა მთლიანად ხელფასის მუხლშია.აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ არასაკმარისია 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები, ამიტომ მუნიციპალიტეტის მერიამ წარმოადგინოს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N 36

დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საკითხის განხილვის დროს ა(ა)ი.პ- მა საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო“-ში 2019 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ცვლილებების დაზუსტებული ვარიანტი.

1. ვლადიმერ სიხარულიძე
2. გოჩა ჯიქია
3. თემურ ხუხუნაიშვილი
4. ალექსანდრე ყაჭეიშვილი
5. მაია კუტუბიძე
6. ირაკლი ახობაძე
7. ლია ჩიგოგიძე